

რეპროდუქციული ასაკის ქალთა სიკვდილიანობის 2014 წლის კვლევის გადახახის მოკლე შეჯავახა

შესავალი

საქართველოში 2014 წლის რეპროდუქციული ასაკის ქალთა სიკვდილიანობის კვლევა (RAMOS) ქვეყნის მასშტაბით განხორციელებული მეორე კვლევაა. აღნიშნული კვლევა მომზადდა და ჩატარდა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დაფინანსებით და ჯონ სნოუ ინკ-ის (ჯეი-ეს-აი) პროექტ „შენარჩუნების“ (USAID/SUSTAIN) მხარდაჭერით. საქართველოში პირველი RAMOS კვლევა განხორციელდა 2008 წელს, რომლითაც შესწავლილი იქნა 2006 წლის მონაცემები. 2014 წელს ჩატარებული მეორე RAMOS კვლევით კი შესწავლილ იქნა 2012 წლის მონაცემები.

2014 წლის RAMOS კვლევის მიზნები იყო:

1. რეპროდუქციული ასაკის ქალთა სიკვდილიანობის მიზნების დადგენა დედათა სიკვდილიანობის მასშტაბისა და დინამიკის შესაფასებლად 2008 წელს ჩატარებულ RAMOS კვლევასთან მიმართებით
2. დედათა სიკვდილიანობის მიზნების დადგენა
3. საქართველოში არსებული სამოქალაქო აქტების რეგისტრაციისა და სტატისტიკური აღრიცხვიანობის სისტემების შეფასება
4. სამედიცინო დაწესებულებებში მომსახურების სტანდარტების შეფასება ორსულობის, აბორტის, მშობიარობის და მშობიარობის შემდგომი გართულებების შემთხვევაში
5. მტკიცებულებებზე დამყარებული რეკომენდაციების მომზადება ჯანდაცვის პოლიტიკის განმსაზღვრელი პირებისათვის.

2014 წლის RAMOS კვლევა პირველი მსგავსი ტიპის ფართომასშტაბიანი პოპულაციური კვლევაა, რომელიც განხორციელდა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის მიერ 2008 წლის კვლევის შემდგომ მისი ორგანიზაციული და ტექნიკური შესაძლებლობების გაძლიერების შედეგად. პირველი RAMOS ასევე დაფინანსებული იყო აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ ჯეი-ეს-აის პროექტის ფარგლებში.

მთობები

2014 წლის RAMOS კვლევის მეთოდოლოგია მოიცავდა საქართველოში მუდმივად მცხოვრებ რეპროდუქციული ასაკის ქალთა (15—49 წლის) გარდაცვალების ყველა შემთხვევის გამოვლენას. კვლევაში გამოყენებული იყო მონაცემთა რამდენიმე წყარო, მათ შორის სამოქალაქო რეგისტრის მონაცემთა ელეტრონული ბაზა, სამედიცინო დაწესებულებების მონაცემთა ბაზები, ასევე საველე სამუშაოების დროს თემის ინფორმატორებისგან მოპოვებული ინფორმაცია. 2012 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე მონაცემთა ზემოთ ჩამოთვლილი წყაროების საფუძველზე სულ იდენტიფიცირებული იყო კვლევის კრიტერიუმების შესაბამისი გარდაცვალების 913 შემთხვევა. აღნიშნული სამიზნე ჯგუფიდან გამოკვლეულ იქნა 881 შემთხვევა გარდაცვლილი ქალების ოჯახებში ვიზიტებისა და მათ ნათესავებთან დეტალური ვერბალური აუტოფსიის ჩატარების შედეგად. შესაბამისად, კვლევაში პასუხის გაცემის მაჩვენებელმა 97% შეადგინა.

ორსულობის დროს და ორსულობის დასრულებიდან ერთი წლის განმავლობაში ქალების გარდაცვალების შემთხვევები დამატებით შესწავლილ იქნა მთავარი ინფორმატორების გამოყითხვითა და სამედიცინო ისტორიების განხილვით ბოლო სამედიცინო დაწესებულებაში, სადაც გარდაცვლილს გაეწია მომსახურება სიკვდილის გამომწვევი დაავადების ან მდგომარეობის გამო. შეგროვებული მონაცემების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა დაადგინა გარდაცვალების ყველა შესწავლილი შემთხვევის ძირითადი გამომწვევი მიზეზი და მიანიჭა შესაბამისი კოდები დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკორის მეათე გადახედვის (ICD-10) კოდების გამოყენებით. მონაცემთა ანალიზი ჩატარდა SPSS სტატისტიკური პროგრამით.

კვლევის ძირითადი შედეგები

2014 წლის RAMOS კვლევამ აჩვენა, რომ რეპროდუქციული ასაკის ქალთა გარდაცვალების თითქმის ყველა შემთხვევა (98%) აღრიცხული იყო საქართველოს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის სისტემაში. ეს მნიშვნელოვან გაუმჯობესებას წარმოადგენს გარდაცვალების რეგისტრაციის მხრივ 2008 წლის RAMOS კვლევასთან შედარებით, რომლის მიხედვითაც სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის სისტემაში აღირცხებოდა რეპროდუქციული ასაკის ქალთა გარდაცვალების შემთხვევათა მხოლოდ 84%.

2014 წლის RAMOS კვლევის მონაცემებით, რეპროდუქციული ასაკის ქალთა გარდაცვალების 399 შემთხვევა (45.3%) გამოწვეული იყო ავთვისებიანი სიმსივნით, რაც მნიშვნელოვნად აღმატება სიკვდილიანობის სხვა მიზეზებით გამოწვეულ შემთხვევათა რაოდენობას. სიკვდილიანობის მიზეზთა სხვა ძირითად კატეგორიებს შორის იყო გარეგანი მიზეზები რომლებმაც გამოიწვია გარდაცვალების 163 (18.5%) შემთხვევა და გულ-სისხლ-ძარღვთა სისტემის დაავადებები, რომლებმაც გამოიწვია გარდაცვალების 116 (13.2%) შემთხვევა. ეს შედეგები მნიშვნელოვნად არ განსხვავდება 2008 წლის RAMOS შედეგებისგან, რომელთა მიხედვითაც ავთვისებიანი სიმსივნე წარმოადგენდა სიკვდილიანობის წამყვან ძირითად მიზეზს (45.4%), რომელსაც მოჰყვებოდა გარეგანი მიზეზები (15.9%) და გულ-სისხლძარღვთა სისტემის დაავადებები (11.6%).

ძუძუსა და რეპროდუქციულ ორგანოთა ავთვისებიანი სიმსივნე

ძუძუს კიბომ გამოიწვია გარდაცვალების ყველაზე მეტი, 111 (12.6%) შემთხვევა. შესაბამისად, ის წარმოადგენს რეპროდუქციული ასაკის ქალთა გარდაცვალების ერთადერთ ძირითად მიზეზს. რეპროდუქციულ ორგანოთა ავთვისებიანი სიმსივნით გარდაიცვალა 107 (12.2%) ქალი, რომელთა შორის პირველ ადგილზეა საშვილოსნოს ყელის კიბო 57 (6.5%) შემთხვევით. მას მოჰყვება საშვილოსნოს კიბო 36 (4.1%) შემთხვევით და საკვერცხის კიბო 14 (1.6%) შემთხვევით.

კიბოს სტატია დიაგნოსტირების დროს

ძუძუს კიბოს მქონე პაციენტების ორ მესამედზე მეტს (72.1%) დიაგნოზი დაუდგინდა გვიან სტადიაზე. ასევე გვიან სტატიაზე იყო დიაგნოსტირებული საშვილოსნოს ყელის კიბოს 75.4%, საშვილოსნოს კიბოს 77.1% და საკვერცხის კიბოს 64.3% შემთხვევა. ავთვისებიანი სიმსივნების, განსაკუთრებით, ძუძუსა და საშვილოსნოს ყელის კიბოს გვიანი დიაგნოსტიკა საქართველოში ჯანდაცვის სისტემის ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს, რადგან ადრეული დიაგნოსტიკის შემთხვევაში შესაძლებელია მათი წარმატებით განკურნება. 2008 წლის RAMOS კვლევის შემდეგ საქართველოში კიბოს ადრეული დიაგნოსტიკა მნიშვნელოვნად არ გაუმჯობესდა.

დრო პირველი სიმატომების გამოვლენიდან კიბოს დიაგნზარდე

პაციენტის სანერილივი დაყოვნება, როგორც დრო პირველი სიმპტომების გამოვლენიდან დიაგნოზის დასმამდე, ასევე რჩება მნიშვნელოვან პრობლემად. ძუძუს კიბოს შემთხვევაში პაციენტის დაყოვნების დრო შეადგინდა 6.8 თვეს, საშვილოსნოს ყელის კიბოს შემთხვევაში — 5.7 თვეს, საშვილოსნოსა და საკვერცხის კიბოს შემთხვევებში — შესაბამისად, 5.3 და 2 თვეს, ხოლო სხვა ავთვისებიანი სიმსივნეების შემთხვევაში — 5 თვეს.

ციკლის გარებანი მიზაზები

გარეგან მიზეზებს შორის პირველ ადგილზეა ავტოსაგზაო შემთხვევები (50.3%). მთლიანობაში, კვლევის ფარგლებში ავტოსაგზაო შემთხვევებით გარდაიცვალა რეპროდუქციული ასაკის 82 (9.3%) ქალი, სხვა უპედური შემთხვევებით — 36 (4.1%), თვითმეულელობით — 26 (3.0%) და მკვლელობით — 11 (1.3%) ქალი.

ცისხლის გიმოსტევის ცისტების დაავადებები

ცისხლის მიმოქცევის სისტემის დაავადებებით გამოწვეული იყო გარდაცვალების 116 (13.2%) შემთხვევა. ამ კატეგორიაში წამყვან ადგილზეა ცერებროვასკულური დაავადებები, რომელთა მიზეზით გარდაიცვალა 46 (39.7%) ქალი.

დედათა სიკვდილიანობა

2014 წლის RAMOS კვლევით, საქართველოში 2006 წლიდან 2012 წლამდე დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი შემცირდა 44.4 შემთხვევიდან 26.7 შემთხვევამდე ყოველ 100,000 ცოცხალშობილზე, რაც ნიშნავს ქვეყანაში დედათა სიკვდილიანობის 40%-ით შემცირებას ექვსი წლის მანძილზე. საქართველოს ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, 2012 წელს დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი იყო 22.9 ყოველ 100,000 ცოცხალშობილზე.

მეორე RAMOS კვლევით გამოვლინდა, რომ დედათა სიკვდილის შემთხვევათა 39% არ იყო რეგისტრირებული 2012 წლის ოფიციალურ სტატისტიკაში, მაშინ როდესაც 2006 წელს ეს სხვაობა შეადგენდა 65%-ს, რაც მნიშვნელოვანი გაუმჯობესება 2008 წლის RAMOS კვლევის შედეგებთან შედარებით.

RAMOS კვლევების მიხედვით, დედათა საერთო სიკვდილიანობის (დედათა ადრეული და გვიანი გარდაცვალება) მაჩვენებელმა 2012 წელს შეადგინა 40.3 ყოველ 100,000 ცოცხალშობილზე, ხოლო 2006 წელს — 65.6 ყოველ 100,000 ცოცხალშობილზე.

2014 წლის RAMOS ფარგლებში ჯამურად გამოვლენილ იქნა 36 ქალი, რომელიც გარდაიცვალნენ ორსულობის პერიოდში ან ორსულობის დასრულებიდან ერთი წლის განმავლობაში. მათ შორის ორსულობით (პირდაპირი ან არაპირდაპირი მიზეზებით) გამოწვეული 23 (63.8%) შემთხვევა კლასიფიცირებულია, როგორც დედათა სიკვდილიანობა, ხოლო 13 (36.1%) შემთხვევა — როგორც თანმხვედრი შემთხვევითი მიზეზებით გამოწვეული სიკვდილიანობა. დედათა გარდაცვალების 23 შემთხვევიდან დედის ადრეული გარდაცვალება (ორსულობის შეწყვეტიდან 0—42 დღის განმავლობაში) აღინიშნა 15 (65.2%) შემთხვევაში, ხოლო დედის გვიანი გარდაცვალება (ორსულობის შეწყვეტიდან 43—365 დღის განმავლობაში) — 8 (34.8%) შემთხვევაში. დედათა გარდაცვალების გამოწვევი მიზეზთა თვალსაზრისით, პირდაპირი სამეანო მიზეზებით გარდაიცვალა 17 (73.9%) ქალი, ხოლო არაპირდაპირი მიზეზით — 6 (26.1%) ქალი.

პირდაპირი მიზეზებით გამოწვეულ დედათა სიკვდილიანობაში წამყვან მიზეზს წარმოდგენდა ინფექცია — 21.7%, შემდგომ სისხლდენა — 17.4% და ემბოლია — 13.0%. ორსულობით გამოწვეული პიპერტენზია გარდაცვალების მიზეზი იყო 8.7% შემთხვევაში, რაც შეესაბამება 40% - ით შემცირებას 2008 წლის RAMOS კვლევის მონაცემებთან შედარებით. 2008 წლის კვლევის შემდგომ პერიოდში შემცირდა ავრეთვე სამეანო სისხლდენით გამოწვეული სიკვდილიანობის მაჩვენებელი. დედათა სიკვილიანობის გამოწვევ არაპირდაპირ მიზეზებს შორის (26.1%) ყველაზე მსხვილ ჯგუფს შეადგენდა ავთვისებიანი სიმსივნე, რომელმაც გამოიწვია გარდაცვალების 3 შემთხვევა, რასაც მოჰყებოდა ჭუბერკულობი (1 შემთხვევა), ბაქტერიული მენინგიტი (1 შემთხვევა) და თვითმკვლელობა (1 შემთხვევა).

2014 წლის RAMOS კვლევით შესწავლილი დედათა გარდაცვალების ყველა შემთხვევა არ იყო ოფიციალურად აღრიცხული. აღნიშნულ კვლევით გამოვლენილი დედათა გარდაცვალების 23 შემთხვევიდან ოფიციალური სტატისტიკით აღრიცხული იყო ადრეული გარდაცვალების 13 და გვიანი გარდაცვალების 1 შემთხვევა. 2014 წლის RAMOS კვლევით დამატებით მოხდა ადრეული გარდაცვალების 2 და გვიანი გარდაცვალების 7 შემთხვევის გამოვლენა, რომლებიც ოფიციალური სტატისტიკით არ იყო კლასიფიცირებული როგორც დედათა გარდაცვალების შემთხვევები. ოფიციალურ სტატისტიკაში სწორად იყო ასახული დედათა პირდაპირი მიზეზით გარდაცვალების შემთხვევათა 70.6% (12 შემთხვევა) და არაპირდაპირი მიზეზით გარდაცვალების შემთხვევათა მხოლოდ 16.7% (1 შემთხვევა). ანალოგიურად, დედათა გვიანი გარდაცვალების შემთხვევათა უმრავლესობა (87.5%) ოფიციალურ სტატისტიკაში არ იყო ასახული, როგორც დედათა გარდაცვალების შემთხვევები.

დასკვნები და რეკომენდაციები

2008 და 2014 წლების RAMOS კვლევებს შორის პერიოდში საქართველოს მთავრობამ განახორციელა რამდენიმე წარმატებული ინიციატივა გარდაცვალების შემთხვევების რეგისტრაციის გაუმჯობესების თვალსაზრისით. პირველ რიგში, საჯარო რეგისტრის რეფორმის ფარგლებში მოხდა ახალი რეგულაციებისა და ღონისძიებების დაწერგვა, როგორიცაა, მაგალითად, ფულადი ჯარიმის შემოღება, რომელიც ეკისრება ყველა პასუხისმგებელ ორგანოს დაურეგისტრირებელი გარდაცვალების შემთხვევაში, ასევე გარდაცვალების სამედიცინო ცნობის ელექტრონული ფორმის დაწერგვა (ნაცვლად წერილობითი ფორმისა), რასაც შედეგად მოჰყვა გარდაცვალების რეგისტრაციის მოცვის გაუმჯობესება. ამასთანავე, სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა დაიწყო რეპროდუქციული ასაკის ქალთა გარდაცვალების მონაცემთა ბაზის შედარება ცოცხალშობილებისა და მკვდრადშობილების მონაცემთა ბაზებთან დედათა სიკვდილის შემთხვევების გამოსავალენად. დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულმა ცენტრმა დაიწყო დედათა სიკვდილიანობის აქტიური ზედამხედველობა რეპროდუქციული ასაკის ქალთა სიკვდილის შემთხვევების ჩართვით დაავადებათა ზედამხედველობის ელექტრონულ ინტეგრირებულ სისტემაში (დწეის) და ვერბალური აუცილებელი სისტემის მეთოდოლოგიის გამოყენებით. ამ ინიციატივებს მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვა დედათა სიკვდილიანობის სწორი შეფასების თვალსაზრისით.

სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის სისტემაში გარდაცვალების რეგისტრაციის მხრივ მნიშვნელოვანი პროგრესის მიუხედავად, ყურადღების მიღმა რჩება სიკვდილის მიზეზის სწორად განსაზღვრა, რაც თავის მხრივ განაპირობებს სიკვილიანობის მიზეზთა მცდარ სტრუქტურას (გარდაცვალების მიზეზთა 47% არა-სწორადა განსაზღვრული).

დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი მუშაობს გარდაცვალების (მათ შორის დედათა გარდაცვალების) რეგისტრაციის პროცესისა და მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესების ეფექტური ღონისძიებების დაგევმვისა და განხორცილების მეშვეობით, რომელთა შორისაა:

1. გარდაცვალების სამედიცინო ცნობის შეფასება ხარისხის ხარვეზების მიზეზთის გამოვლენის მიზნით და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება (BCA 2012 — 2013)
2. დაბადებისა და გარდაცვალების რეგისტრაციის ახალი პროგრამული უზრუნველყოფის შემუშავება კონტროლის სხვადასხვა მექანიზმებისა და მონაცემთა შიდა შემოწმების გამოყენებით საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად (ICD-10 ტომი 2)
3. კავშირების გამოყენება და შესაბამისობის დადგენა ყველა შესაძლო მონაცემთა ბაზასთან (პირადი საიდენტიფიკაციო ნომრის საშუალებით) ან მონაცემთა წყაროსთან გარდაცვალების ცნობის გაუმჯობესების მიზნით
4. ტრენინგების ჩატარება გარდაცვალების გამომწვევი მიზეზთის დადგენასა და კოდირებაზე ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის რეკომენდაციების შესაბამისად
5. ICD-10 კოდების ელექტრონული სწავლების ინსტრუმენტის გამოყენება.

2014 წლის RAMOS კვლევის ფარგლებში ავთვისებიანი სიმსივნე გამოვლინდა, როგორც რეპროდუქციული ასაკის ქალთა გარდაცვალების გამომწვევი ყველაზე ხშირი მიზეზი. მათ შორის პირველ ადგილზეა ძუძუს კიბო. მთავარ პრობლემას წარმოადგენს დაგვიანებული დიაგნოსტიკა და მუურნალობა. დაინტერესებულმა მხარეებმა და პოლიტიკის განმსაზღვრულმა პირებმა უნდა გაითვალისწინონ რეპროდუქციული სისტემის ავთვისებიანი სიმსივნეების ტვირთი, განსაკუთრებით, კიბოს ის შემთხვევები, რომელთა პრევენცია შესაძლებელია, და გააძლიერონ კიბოს სკრინინგის ეროვნული პროგრამა. საქართველოში დაწერგილი საყოველთაო დაზღვევის ახალი პროგრამა მნიშვნელოვნად აფართოებს კიბოს მუურნალობის ხელმისაწვდომობას.

სკრინინგით მოცვის მაჩვენებლის, ადრეული მურნალობის გაუმჯობესებისა და, შესაბამისად, სიკლი-ანობის შემცირების მიზნით საჭიროა შემდეგი ზომების გატარება:

1. სამედიცინო განათლების დონისა და ცნობიერების ამაღლებაზე ყურადღების გამახვილება
2. სკრინინგ - სერვისების არასათანადო გამოყენებისა და გვიანი მიმართვიანობის განმაპირობებელი ფაქტორების შესწავლა
3. ჯანდაცვის პოლიტიკის განხორციელება ამ ფაქტორების დასაძლევად, განსაკუთრებით, მოსახლეობის მოწყვლადი ნაწილისათვის.

საქართველოში დედათა სიკვდილიანობის მაჩვენებელი შეესაბამება გარდამავალ პერიოდში მყოფი სხვა ქვეყნების მაჩვენებლებს, თუმცა დედათა სიკვდილიანობის მიზეზების განაწილების თავისებურებები შედარებით უფრო კომპლექსურია. ინფექციების და მძიმე სამეცნი სისხლდების შემთხვევებში საქართველოს მაჩვენებლები ჰგავს ნაკლებად განვითარებული ქვეყნების ანალოგიურ მაჩვენებლებს.

სამედიცინო მომსახურების არასათანადო ხარისხი კვლავ რჩება ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად, რომლის აღმოფხვრაც შესაძლებელია. უფრო ხარისხიანი ან უკეთ ორგანიზებული სამედიცინო მომსახურებით შეიძლებოდა დედათა სიკვდილიანობის 57% შემთხვევათა პრევენცია. ამ თვალსაზრისით, ნამჟან ფაქტორს წარმოადგენს პირველად დახმარებასთან დაკავშირებული დაყოვნებები, როდესაც პროვაიდერებმა დროულად ვერ შეძლეს გადაუდებელი სამეცნი მდგომარეობების ამოცნობა და მართვა, ან რეფერალის განხორციელება უფრო მაღალი დონის დაწესებულებებში. სამედიცინო მომსახურების მოძიების დაყოვნება, ძირითადად განპირობებული ორსულობისა და მშობიარობის შემდგომ პერიოდის საშიში ნიშნების შესახებ ცოდნის ნაკლებობით, წარმოადგენს პაციენტთან და მისი ოჯახის წევრებთან დაკავშირებულ ყველაზე ხშირ ფაქტორს, რამაც გამოიწვია დედათა გარდაცვალების შემთხვევათა 30.4%.

დედათა სიკვდილიანობის შემდგომი შემცირება დამოკიდებულია საქართველოში ჯანდაცვის სისტემის მომავალ გაძლიერებაზე, რაც მოიცავს:

1. რისკის მქონე ორსულებისთვის სამედიცინო მომსახურების მიღებას დაწესებულებებში, სადაც უზრუნველყოფილია სპეციალიზებული მოვლის სათანადო დონე (მაგალითად, პერინატალური მოვლის რეგიონალიზაციის პოლიტიკის დანერგვა)
2. დედათა სამედიცინო მომსახურების კოორდინაციის გაუმჯობესებას მშობიარობამდე, მშობიარობის დროს და მშობიარობის შემდგომი მოვლის პროცესის უწყვეტობით
3. ქვეყნის მასშტაბით ყოვლისმომცველი ხარისხის გაუმჯობესების ზომების გატარებას სამედიცინო მომსახურების ხარისხზე ანგარიშვალდებულების გაზრდისა და მიზნობრივი გადაწყვეტილებების შემუშავების მიზნით.